

სკოლის

I კლასის მოსწავლე





კომპლექსური დავალება
„რიცხვების სხვადასხვა გამოყენება“

მზიამ და სანდრომ ერთმანეთს გადასცეს ბარათები კითხვებით და ეჯიბრებიან, ვინ უფრო სწორად გასცემს პასუხს დასმულ კითხვებს.

მზია ეკითხება: ვთქვათ, შენ აპირებ ლიფტით მეთერთმეტე სართულზე ასვლას. ლიფტის კედელზე შენიშნავ ღილაკებს (იხ. სურათი).

რას მიუთითებს ეს ღილაკები? რას აღნიშნავს

ამ შემთხვევაში რიცხვები:

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12?

- 6 12
- 5 11
- 4 10
- 3 9
- 2 8
- 1 7

რამდენ სართულს აივლის პირველ სართულზე გაჩერებული ლიფტი მეთერთმეტე სართულზე ასვლისას? ვთქვათ, მეთერთმეტე სართულიდან პირველ სართულზე დაშვებისას მგზავრები ყოველ მეორე სართულზე აჩერებდნენ ლიფტს. რამდენჯერ შეჩერდება ლიფტი? მეორე შეჩერების შემდეგ კიდევ რამდენი სართული დარჩება გასავლელი?

სანდრო ეკითხება: შენ გეცოდინება, რომ ქუჩის დასაწყისიდან მარცხენა მხარეს მდგომი სახლების ნომრებია: 2, 4, 6, ... , ხოლო მარჯვენა მხარეს — 1, 3, 5, ...

ვთქვათ, შენ ცხოვრობ სახლში, რომლის ნომერია 1. ქუჩის შენსავე მხარეს რა ნომერი ექნება შენი სახლიდან მეშვიდე სახლს? შენი სახლიდან მერამდენე იქნება სახლი ნომრით 19? შეიძლება თუ არა, ქუჩის დასაწყისთან უფრო ახლოს იყოს სახლი ნომრით 15, ვიდრე სახლი ნომრით 12? თუ ეს შესაძლებელია, აღწერე ასეთი შემთხვევა.

თქვენი დავალებაა:

- დაუსვით სხვა კითხვებიც მზიასა და სანდროს და დაეხმარეთ მათ პასუხების მოფიქრებაში.
- როგორ დაადგინეთ ამოცანაში აღწერილი სართულების რაოდენობა და სართულების ნომრები?
- როგორ დაადგინეთ სახლის ნომრის მიხედვით მერამდენე იქნება ეს სახლი ქუჩის დასაწყისიდან?
- შეიძლება თუ არა რიცხვები გამოვიყენოთ სართულების მიხედვით ორი შენობის სიმაღლის შესადარებლად?
- შეიძლება თუ არა რიცხვები გამოვიყენოთ ორი ჯოხის სიგრძის შესადარებლად?
- დახატეთ მატარებელი, მიაწერეთ ვაგონებს თანმიმდევრულად რიცხვები და აღწერეთ — რას მიუთითებს ეს რიცხვები?
- დაასახელეთ, რამდენი დღეა კვირაში? რამდენი თვეა წელიწადში? შეიტყვეთ უფროსებისგან (ან მოიძიეთ ინტერნეტში), ჭადრაკში რამდენგზის მსოფლიო ჩემპიონები არიან ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე?

ნაშრომის პრეზენტაციისას მკაფიოდ წარმოაჩინეთ:

- რა სიტყვები (ტერმინები) გამოიყენეთ რაოდენობითი და რიგობითი რიცხვების დასახელებისას?
- რა სიტყვები გამოიყენეთ რაოდენობის ან რიგის აღსანიშნავად?
- შეაფასეთ, რამდენად კარგად გაართვით თავი დავალების შესრულებას? მასში კიდევ რის დამატებას ისურვებდით?

1 ათეული



- რამდენი სამკუთხედია აქ წარმოდგენილი?
- რამდენი წყვილია?
- რამდენი ხუთეულია?
- რამდენი ათეულია?



- რამდენი წრეა?
- რამდენი წყვილია?
- რამდენი სამეულია?
- რამდენი ოთხეულია?
- რამდენი ექვსეულია?

შეასრულეთ მოქმედებები:

$9 - 6 = \square \quad 9 - 5 = \square \quad 9 - 4 = \square \quad 9 - 3 = \square$

$9 - 2 = \square \quad 9 - 1 = \square \quad 9 - 0 = \square$

$3 + 6 = \square \quad 3 + 5 = \square \quad 3 + 4 = \square \quad 3 + 3 = \square$

$3 + 2 = \square \quad 3 + 1 = \square \quad 3 + 0 = \square$

ნინიკოს 5 თოჯინა აქვს, მარიამს — 4. თამრიკოს იმდენივე, რამდენიც ნინიკოსა და მარიამს ერთად. რამდენი თოჯინა აქვს თამრიკოს?

ნინელიმ კვერცხების 2 ათეული იყიდა, 1 გაუტყდა. რამდენი მთელი კვერცხი დარჩა ნინელის?

შეცვალეთ მართკუთხედები ისეთი რიცხვებით, რომ მიიღოთ


• ცხრა

9
$3 + 4 + \square$
$8 + 1 + \square$
$5 + \square + 2$
$10 - 1 - \square$
$5 + 4 + \square$

• ათი

10
$3 + 4 + \square$
$3 + 1 + \square$
$2 + \square + 6$
$1 + 1 + \square$
$9 + 1 + \square$

გამოიყენეთ სიტყვები მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ და მიიყვანეთ ბაჭია სტაფილოსთან.



2 რიცხვები 11-დან 20-მდე

რამდენი ათეულისა და კიდევ რამდენი ერთეულისგან შედგება რიცხვები: 17, 18, 19?

17 –

18 –

19 –




დანერეთ ზრდის მიხედვით რიცხვები: 18, 10, 3, 15, 2, 20.

დაასახელეთ 13, 15, 16 და 20 რიცხვებიდან თითოეულის წინა რიცხვი.

რა რიცხვებს მივიღებთ, თუ 13, 15, 16, 20 რიცხვებიდან თითოეულს შევამცირებთ ერთით?

მოცემულია რიცხვები: 11, 12, 15, 10, 9, 19.
დაასახელეთ მათი მომდევნო რიცხვები.

მოცემულია რიცხვები: 13, 16, 18.
დაასახელეთ თითოეულის მომდევნოს მომდევნო.



$10 + 3 = 13$

$10 + 1 = \square$

$10 + 5 = \square$

$13 - 3 = 10$

$11 - 1 = \square$

$15 - 5 = \square$

$13 - 10 = 3$

$11 - 10 = \square$

$15 - 10 = \square$

შეასრულეთ მოქმედებები:

$10 + 4 = \square$

$16 - 6 = \square$

$12 - 10 = \square$

$10 + 9 = \square$

$17 - 7 = \square$

$18 - 10 = \square$

რა ტოლობებით შეიძლება გავაგრძელოთ მოცემული ტოლობები თითოეულ რიგში?

$10+1=11$	$10+2=12$	$10+3=13$		
$11=10+1$	$12=10+2$	$13=10+3$		

3 ამოხსნათ ამოცანები

ჩანერეთ გამოტოვებული მათემატიკური ნიშანი (<, > ან =) სწორად:

$2 \bigcirc 9$

$18 \bigcirc 8$

$18 \bigcirc 17$

$10 \bigcirc 9$

$4 \bigcirc 14$

$18 \bigcirc 18$

$18 \bigcirc 9$

$19 \bigcirc 16$

$12 \bigcirc 13$

$17 \bigcirc 14$

$14 \bigcirc 15$

$13 \bigcirc 9$

$18 \bigcirc 16$

$20 \bigcirc 13$

$19 \bigcirc 14$

$8 \bigcirc 13$

შეასრულეთ მოქმედებები:

$12 + 1 = \square$

$12 - 1 = \square$

$10 + 1 = \square$

$10 - 1 = \square$

$18 + 1 = \square$

$18 - 1 = \square$

$13 + 1 = \square$

$13 - 1 = \square$

$19 + 1 = \square$

$19 - 1 = \square$

$14 + 1 = \square$

$14 - 1 = \square$

შეასრულეთ მოქმედებები:

$18 - 10 = \square$

$16 - 10 = \square$

$12 - 10 = \square$

$19 - 10 = \square$

$15 - 10 = \square$

$14 - 10 = \square$

$17 - 10 = \square$

$14 - 10 = \square$

$13 - 10 = \square$

კლასში 17 მოსწავლეა. მათგან 10 ბიჭია, დანარჩენი — გოგონა. რამდენი გოგონაა კლასში?

იპოვეთ რიცხვი, რომელიც 20-ზე 1-ით ნაკლებია.

იპოვეთ რიცხვი, რომელიც 18-ზე 1-ით ნაკლებია.

იპოვეთ რიცხვი, რომელიც 18-ზე 10-ით ნაკლებია.

მართკუთხედში ჩანერეთ შესაფერისი რიცხვი:

$$19 - \square = 10 \quad 8 + 1 = \square \quad \square + 12 = 12$$

$$\square - 1 = 18 \quad 18 + 1 = \square \quad 14 - \square = 14$$


დაალაგეთ: 19, 13, 10, 15, 17, 16, 14


ზრდით:

კლებით:

4 შავასსოთ მოცემულ რაოდენობაჲ

შეავსეთ 10-მდე:






შეავსეთ სწორ ტოლობამდე:

$9 + \square = 10$	$4 + \square = 10$	$7 + \square = 10$	$8 + \square = 10$
$1 + \square = 10$	$\square + 6 = 10$	$3 + \square = 10$	$2 + \square = 10$
$10 - \square = 9$	$10 - \square = 4$	$10 - \square = 3$	$10 - \square = 2$
$10 - \square = 1$	$10 - \square = 6$	$10 - \square = 7$	$10 - \square = 8$

შეავსეთ ცხრილი ისე, რომ წრეებში ჩანერილი თითოეული რიცხვი წარმოადგენდეს ორი შესაკრების ჯამს.



$10 - 9 = 10 - 5 - \square$	$4 + 8 = 4 + 6 + \square$
$9 + 6 = 9 + 1 + \square$	$8 + 7 = 8 + \square + 5$

შეავსეთ შესაფერისი რიცხვებით:

რიცხვი	8	7	6	9
რა რიცხვი შეავსებს მოცემულს ათამდე				

რიცხვი	5	2	7	6
10-ით გაზრდილი რიცხვი				

5	9	6
8	3	2
4	1	7

ამონერეთ რიცხვები ორეულებად (წყვილებად) ისე, რომ ყოველი ორეულის რიცხვების ჯამი 10 იყოს.

შეასრულეთ მოქმედებები:

$$7 + 2 + 1 = \square \quad 6 + 2 + 2 = \square \quad 5 + 3 + 2 = \square$$
$$12 - 1 - 1 = \square \quad 13 - 1 - 2 = \square \quad 14 - 1 - 3 = \square$$

5 რიცხვების სვალასხვა გამოყენება

შეავსეთ ცხრილები.

1

- 4

10	6
9	
8	
7	

+ 3

4	7
5	
6	
7	

2

+10

1	11
2	
3	
4	
5	
6	

-10

19	9
18	
17	
16	
15	

გამოიყენეთ მითითებული რიცხვები, მათემატიკური ნიშნები (=, + ან -) და დაწერეთ ტოლობები:

1

1; 5; 6; -; =

2

3; 9; 6; -; =

3

12; 5; 7; +; =

4

4; 7; 3; +; =

5

1; 4; 3; -; =

6

9; 1; 10; +; =

7

10; 8; 18; -; =

8

14; 4; 10; -; =

9

1; 6; 7; -; =